

**ხმელთაშუაზღვისპირელმა ახალგაზრდებმა ტუნისიდან და იტალიიდან შექმნეს საკომუნიკაციო ხიდი ხელოვნებისა და თეატრის მეშვეობით**

საზოგადოებისთვის ინსპირაციული და უნივერსალური გზავნილების გაგზავნით, კიდევ ერთხელ, დაახლოებით 40 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა ავიდა სცენაზე 2022 წლის 31 მაისს, კაირუანში, ტუნისში და წარმოადგინა მრავალფეროვანი სპექტაკლები. ღონისძიება შშმ პირთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ჩართვის პროექტის „შენთან ერთად“ ფარგლებში [ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო ტუნისის](#) მიერ იყო ორგანიზებული.

40 მონაწილეს შორის, 30 შემსრულებელი იყო ტუნისელი ქალაქ კაირუანიდან, ხოლო 10 იყო იტალიელი სტუდენტი, ასოციაცია "Metiamoci In Gioco"- დან , რომლებიც იტალიიდან კაირუანში სპეციალურად გაემგზავრნენ შოუში და ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად!

შოუ დაიგემა [შემდეგნაირად: 7 განსხვავებული სპექტაკლი](#), რომელიც მოიცავდა სახვადასხა სახის დადგმებსა თუ წარმოდგენებს დაწყებული მიმიკის და ქესტების ენიდან დამთავრებული ზღაპრული პიესებით და დაწყებული სიმღერიდან და ცეკვიდან დამთავრებული სხეულის ენით. თემები განსხვავდებოდა, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული იყო როგორც ტუნისის, ისე იტალიის ჰიმნების მეშვეობით, რაც ხაზს უსვამდა მონაწილეობის, მეგობრობის, თანაგრძნობის, ჩართულობის, კუთვნილების და თანამეგობრობის იდეას. მუსიკაც მრავალფეროვანი და საოცარი იყო, რამაც გამომსვლელებს მშვენიერი ენერჯია და ენთუზიაზმი შესძინა.

ამჟამად, 7-დან 35 წლამდე ასაკის შემსრულებლები სამ ადგილობრივ ცენტრში არიან განაწილებულნი, რომელთაგან თითოეული ფოკუსირებულია სხვადასხვა მახასიათებლების გამოვლენაზე: ფიზიკურ, გონებრივ და ხმოვანი მახასიათებლები.

**ამ ინიციატივამ გამოავლინა შემდგომი ნაბიჯი საკომუნიკაციო**

**ხიდის ჩამოყალიბებაში, რაც ხაზს უსვამს შემსრულებლების პროდუქტიულ, კრეატიულ, ავტონომიურ და თავდაჯერებულ უნარებს**

ამ ინიციატივამ გამოავლინა შემდგომი ნაბიჯი საკომუნიკაციო ხიდის ჩამოყალიბებაში, რაც ხაზს უსვამს შემსრულებლების პროდუქტიულ, კრეატიულ, ავტონომიურ და თავდაჯერებულ უნარებს.

ამრიგად, მოვლენამ წინა პლანზე წამოიწია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შემდგომი გაძლიერების აუცილებლობის კუთხით; განსაკუთრებით ისეთ ქალაქში, როგორც არის კაირუანი, რომელიც რამდენიმე ბარიერს უქმნის მოქალაქეებს. ამის გათვალისწინებით, თეატრი გახდა ადვოკატირების გზით ხმის ამადლების და სტერეოტიპების დამსხვრევის წყარო. მონაწილეებმა დადგეს ახალი ნოველა, რომის შესრულების დროსაც აღფრთოვანებული, ენერგიული, ცოცხალი და აქტიურები იყვნენ. მათ სცენაზე შემოიტანეს ცოცხალი ენერჯია, ოსტატობა და გონიერება. ადგილობრივი ხელისუფლება, რეაბილიტაციის ცენტრების დირექტორები და პერსონალი, ONG-ები, ტუნისელი და იტალიელი მშობლები, მედია, სტუდენტები, ახალგაზრდები და ხელოვანები აღფრთოვანებულნი თვალყურს ადევნებდნენ სპექტაკლის მიმდინარეობას.

ზოგადი თვალსაზრისით, ღონისძიებამ ხაზი გაუსვა თეატრის როლს, როგორც გაუმჯობესების, შესაძლებლობების ამდლებისა და პიროვნული ზრდის ინსტრუმენტს, შვიდთვიანი თეატრალური სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების განხორციელების შედეგად. სადაც ახალგაზრდები აქტიურად მუშაობდნენ იმისათვის, რომ აღმოეჩინათ და განეკითარებინათ მხატვრული შესაძლებლობები და უნარები.

ეს ღონისძიება ხაზს უსვამს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო ტუნისის როლს და წვლილს ინკლუზიური საზოგადოების შექმნაში და მოქალაქეობისა და მონაწილეობის განმტკიცებაში. განსაკუთრებით მათთვის, ვინც მიეკუთვნება დაუცველ ჯგუფებს. ასევე, იგი ხაზს უსვამს სააგენტოს ვალდებულებას, მოახდინოს დაინტერესებული მხარეების და საზოგადოების ინფორმირებულობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ და ხელი შეუწყოს მხატვრული გამოხატვის გზით კომუნიკაციისა და მონაწილეობის მყარი ნიადაგის შექმნას.

ღონისძიება უნიკალური და უპრეცედენტო იყო თემში, რამაც იგი გამორჩეული გახადა. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო ტუნისის გუნდმა უზრუნველყო, რომ ღონისძიებას მიეღო დამსახურებული საზოგადოების ყურადღება და მომხდარიყო ეროვნული და ადგილობრივი მედიის მხრიდან გაშუქება.

კულტურული და მხატვრული ღონისძიება „თეატრი ყველასთვის“ მეორე ტურია და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო ტუნისის მოუთმენლად ელის მომავალში მეტი შოუს მოწყობას. სააგენტო არის პასუხისმგებელი პროექტზე კაირუანში, ამიტომ იგი აქტიურად ეძებს ეფექტურ, ინოვაციურ და მონაწილეობით გადაწყვეტილებების პლატფორმას.